საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულორდავა მარიკა ლერის ასული

გულორდავა მარიკა ლერის ასული (დ. 29. VIII. 1985, სოხუმი), მომღერალი (სოპრანო), ვოკალისტთა თბილისის (I პრემია), მოსკოვის (პ. ჩაიკოვსკის სახელობის, II პრემია) და სარაგოსას (მონსერატ კაბალიეს სახელობის I პრემია) საერთაშორისო პრემიების ლაურეატი (ყველა 2007).

სწავლობდა თბილისის I სამუს. სასწავლებელში (პედ. – ქ. ელიავა), 2004-იდან – თბილისის კონსერვატორიაში (პედ. – ლ. გოგლიჩიძე). მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლებში, შეასრულა ტატიანასა და იოლანტას პარტიები (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", „იოლანტა").

2009-იდან სწავლობს მილანის „ლა სკალას" ვოკალური ხელოვნების აკადემიაში.

გ. ტორაძე